საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/6346
25/10/2022

6346-21-2-202210251703

**ინდივიდუალური მეწარმე გივი იობიძეს**
**მის:** ქ. ქუთაისი,სულხან საბას მესამე ჩიხის №2
**ელ. ფოსტა:** G.iobidze58@gmail.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №5222 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. ქუთაისში, სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იქნეს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადების თანახმად, საწარმოში გათვალისწინებულია სასარგებლო წიაღისეულის - ტეშენიტისა და კირქვის ქვის ნატეხების გადამუშავება (ცხრილი 2; გვ. 3), ამასთან ტექნოლოგიური პროცესის თავში აღნიშნულია, რომ „ნედლეულად გამოყენებული იქნება მცირე ზომის ტეშენიტისა ქვები ან/და ხერხვის დროს მიღებული მცირე ზომის ნატეხები“ (გვ. 22). სკრინინგის განცხადების სხვა თავებში ნედლეულის სახით კირქვის გამოყენება არ არის განხილული, შესაბამისად დაზუსტებას საჭიროებს გათვალისწინებულია თუ არა საწარმოში კირქვის გადამუშავება, ხოლო ასეთის არსებობის შემთხვევაში აღნიშნული საკითხი ასახული უნდა იქნას ტექნოლოგიურ პროცესში დეტალურად;
- სკრინინგის განცხადებაში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია საწარმოში მოწყობილი დანადგარის შესახებ (ტიპი, სიმძლავრე), რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- სკრინინგის განცხადება უნდა მოიცავდეს ინფორმაციას ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირებისთვის გამოყენებული გზების და ტრანსპორტირებით გამოწვეული ზემოქმედების შესახებ (დღის განმავლობაში განსახორციელებელი სავარაუდო სატრანსპორტო ოპერაციების რაოდენობა).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

კვალიფიცირებული ელექტრონული ხელმოწერა / QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო